

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება NMOD 5 21 00000558

2021 წლის 05 ივლისი ქ.თბილისი

საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების გავრცელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების გავრცელებასთან დაკავშირებით, სამინისტროში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) სავალდებულოა ყველა ტიპის დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარება;
- ბ) საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე განხორციელდეს თერმოსკრინინგი;
- გ) მოეწყოს და რეგულარულად განახლდეს დეზინფექტანტით შენობების შესასვლელებთან განთავსებული დეზობარიერები და ხელის სადეზინფექციო დისპენსერები;
- დ) განხორციელდეს ყველა ტიპის დახურული საჯარო სივრცის ბუნებრივი ან/და ხელოვნური უწყვეტი ვენტილაცია;
- ე) განხორციელდეს ხელსაბანების ცხელი წყლით უზრუნველყოფა, ასევე ხელის დასაბანი და გასამშრალელებელი ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება, მუნიციპალური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერების დროულად დაცლა და დეზინფიცირება;
- ვ) უზრუნველყოფილ იქნეს დახურულ საჯარო სივრცეებში მოაჯირების, კარის სახელოურებისა და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სველი წესით დალაგება და სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურე (შემდგომში - მოსამსახურე) ვალდებულია:

ა) საყოფაცხოვრებო სივრცეში (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) დაიცვას სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მეტრისა);

ბ) ორსულობის შემთხვევაში (შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე) სამედიცინო სამსახურებთან კოორდინაციით და უშუალო/პირდაპირი ხელმძღვანელი

პირების გადაწყვეტილებით, გადავიდეს მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, შემდგომ განკარგულებამდე;

გ) ვირუსული ინფექციისათვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ხელმძღვანელს ან/და შესაბამის სამედიცინო სამსახურს, მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და სამსახურში გამოცხადდეს მხოლოდ ექიმის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად;

დ) ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში (პირდაპირი კონტაქტი) დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს და შესაბამის სამედიცინო სამსახურთან კოორდინაციით გადავიდეს თვითიზოლაციაში 12 კალენდარული დღის ვადით, ხოლო მე-13 დღეს გამოცხადდეს სამსახურში. სამსახურში გამოუცხადებლობის პერიოდში, მოსამსახურე ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეიძლება გადავიდეს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე.

3. ახალი კორონავირუსის (COVID-19) დიაგნოზის მქონე:
ა) უსიმპტომო მოსამსახურე:

ა.ა) თავისუფლდება სამსახურში გამოცხადების ვალდებულებისაგან იზოლაციაში ყოფნის ვადით, მაგრამ არაუმეტეს ახალი კორონავირუსის (COVID-19) დამადასტურებელი სინჯის აღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღისა, რის შემდეგაც სამედიცინო სამსახურთან კოორდინაციით იგი ცხადდება სამსახურში;

ა.ბ) იზოლაციას ასრულებს SARS-Cov-2-ის დამადასტურებელი ტესტირების გარეშე;

ბ) მსუბუქი სიმპტომების მქონე მოსამსახურე თავისუფლდება სამსახურში გამოცხადების ვალდებულებისაგან იზოლაციაში ყოფნის ვადით, რომელიც სრულდება არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღისა და სიმპტომების გასვლიდან 3 (სამი) უსიმპტომო დღის გასვლის შემდეგ. ახალი კორონავირუსის (COVID-19) დამადასტურებელი ტესტირების ჩატარების გარეშე, სამედიცინო სამსახურთან კოორდინაციით იგი ცხადდება სამსახურში.

4. ახალი კორონავირუსის (COVID-19) დიაგნოზის მქონე მოსამსახურე, რომელიც მკურნალობას გადის სამკურნალო დაწესებულებაში, გათავისუფლდეს სამსახურში გამოცხადების ვალდებულებისაგან მკურნალობის ვადით. სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შემდეგ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფორმა №100) საფუძველზე, სამედიცინო სამსახურებთან შეთანხმებით და მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად, მოსამსახურე იმყოფება თვითიზოლაციაში საჭირო ვადით/სიმპტომების აღაგებიდან დამატებით 3 (სამი) უსიმპტომო დღის გასვლის შემდეგ, რის შემდეგაც ცხადდება სამსახურში.

5. მოსამსახურეს, რომელიც ამ ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურში გამოცხადების ვალდებულებისაგან, სრულად შეუნარჩუნდეს შრომის ანაზღაურება.

6. სამინისტროს სისტემის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ ამ ბრძანების მიზნების გათვალისწინებით შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება და პირადი შემადგენლობისთვის გაცნობა.

7. მოსამსახურეების ნაწილი შეიძლება გადავიდეს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით. საქართველოს თავდაცვის ძალებში მოსამსახურეთა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა განხორციელდეს იმ თანამდებობის პირების მიერ, რომლებსაც დელეგირებული აქვთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის უფლებამოსილება.

71. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არავაკცინირებული მოსამსახურე საზღვარგარეთ მივლინებით გაგზავნამდე 12 კალენდარული დღით ადრე, გადავიდეს მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, ხოლო ვაკცინირებული მოსამსახურე, იგივე ვადით გადავიდეს მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

ბრძანება N MOD 7 21 00000587 13.07.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

8. მოსამსახურის თვითიზოლაციაში/კარანტინში ყოფნის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის სამხედრო მართვის ცენტრს. აღნიშნული პირების თვითიზოლაციაში ყოფნის წესების დაცვის კონტროლი დაევალოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს, ხოლო თანამშრომელთა მხრიდან თვითიზოლაციაში ყოფნის წესების დაცვაზე მონიტორინგი განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელმა.

9. ძალადაკარგულად გამოცხდეს:
ა) „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N231 ბრძანება;
ბ) „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების გავრცელებისმატებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის N676 ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე